

საქმე №3/1620-14წ.



1770092486880

www.info.court.ge

## გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

17 აპრილი 2015წ.

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ნინო შარაძე

სხდომის მდივანი თამარ ბარნოვი

**მოსარჩელე** - ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"

წარმომადგენლები - ნინო გუჯარაძე, ირმა მახათაძე

**მოპასუხე** -- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

წარმომადგენელი - თეიმურაზ მეშველიანი

**მოპასუხე** - სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული

სააგენტო

წარმომადგენლები - სოფიო ჩიხლაძე, თეა ონიანი

**მოპასუხე** - საქართველოს მთავრობა

წარმომადგენელი - ზაზა თაქთაქიშვილი

**მესამე პირი** - (ს.ა.ს.კ-ის 16.2 მუხლით) შპს "RMG GOLD"

წარმომადგენელი - თეიმურაზ ოჩიგავა

**დავის საგანი** - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების

ბათილად ცნობა;

ღია სასამართლო სხდომაზე განიხილა შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

### **გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელი ადპრა ა(ა) იპ "მწვანე ალტერნატივამ" მოპასუხე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს მთავრობისა და სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიმართ, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 06 მარტის №05/09/221 დასკვნის, შპს "RMG GOLD"-თვის სამთო საქმიანობის განხორციელების მიზნით დადებით დასკვნის გადაცემის შესახებ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 13 მარტის №01/01-1227 გადაწყვეტილებისა და საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 6 მაისის №15067 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

სადავო სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 06 მარტის №05/09/221 აქტით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, მის მიერ წარდგენილი №02/08-931 წერილის პასუხად, რომელიც შეეხებოდა შპს "RMG GOLD"-ის სალიცენზიო ფართობში მოქცეული საყდრისის ტერიტორიაზე განხორციელებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიშებისა და საყდრისი - ყაჩაღიანის საარქივო ბიბლიოგრაფიული მასალის განხილვასა და ამ მასალებზე დაყრდნობით შესაბამისი კომპეტენტური დასკვნის მომზადებას, ეცნობა რომ არსებული მასალების კომპლექსური შეფასების შედეგად, საყდრისი - ყაჩაღიანის ტერიტორიაზე უძველესი ოქროს მადაროს ან ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლის არსებობა არ იყო დადასტურებული და ვინაიდან 2013 წელს ობიექტზე განხორციელებული არქეოლოგიური კვლევების შედეგად ტერიტორიაზე კულტურული ფენები არ იყო, მიზანშეწონილი იყო შპს "RMG GOLD"-ს სამუშაოების გაგრძელების მიზნით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ მისცემოდა დადებითი დასკვნა.

იმავე დოკუმენტით გამომდინარე იქედან, რომ საკითხის გარშემო მეცნიერების გარკვეულ წრეში ჯერ კიდევ არსებობდა განსხვავებული მოსაზრება, სააგენტოს საჭიროდ მიაჩნდა მოწვეულ ყოფილიყვნენ საერთაშორისო, დამოუკიდებელი ექსპერტები, რომლებიც სააგენტოსთან ერთად მონიტორინგს გაუწევდნენ კომპანია "RMG GOLD"-ის სამუშაოებს. საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავდნენ სავარაუდო არტეფაქტებზე მულტიდისციპლინარული კვლევების აუცილებლობას და მას განახორციელებდნენ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით.

გასაჩივრებული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის №01/01-1227 დასკვნის თანახმად, საკითხის კომპლექსური შესწავლის შედეგად, სსიპ საქართველოს კულტური მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ შემუშავებულ ზემოხსენებულ 2014 წლის 06 მარტის №05/09/221 დასკვნაზე დაყრდნობით, შპს "RMG GOLD"-ს მიეცა დადებითი დასკვნა სამთო სამუშაოების განხორციელების მიზნით. ამასთან დოკუმენტში მიეთითა, რომ საკითხის გარშემო მეცნიერების გარკვეულ წრეში განსხვავებული მოსაზრების არსებობის გამო, სამინისტროს საჭიროდ მიაჩნდა საერთაშორისო, მაღალი რეპუტაციის მქონე, დამოუკიდებელი მეცნიერ - მკვლევარების მოწვევა, რომლებიც სააგენტოსთან ერთად მონიტორინგს გაუწევდნენ კომპანია "RMG GOLD"-ის წარმოებულ სამთო სამუშაოებს. საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავდნენ ობიექტზე მულტიდისციპლინარული კვლევების ჩატარების აუცილებლობას და შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში განახორციელებდნენ მას.

მოსარჩელე ა(ა) იპ "მწვანე ალტერნატივამ" 2014 წლის 8 აპრილს №04/09/01-151 ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს მთავრობას და მოითხოვა სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 06 მარტის №05/09/221 დასკვნისა და შპს "RMG GOLD"-თვის სამთო საქმიანობის განხორციელების მიზნით დადებით დასკვნის გადაცემის შესახებ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 13 მარტის №01/01-1227 გადაწყვეტილების ბათილად

ცნობა.

საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 6 მაისის №15067 გადაწყვეტილებით ა(ა) იპ "მწვანე ალტერნატივას" უარი ეთქვა საჩივრის განხილვაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე იმ მოტივით, რომ საჩივრის ავტორი არ წარმოადგენდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ დაინტერესებულ პირს.

საქმეში წარმოდგენილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის №03/266 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა "საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის და გამოყენების შესახებ" მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების ნაწილის ბათილად ცნობის თაობაზე" საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანება. ამავე ბრძანებით ბათილად გამოცხადდა "საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების დანართის რიგითი №2042 (საყდრისი - ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მღარო, ბოლნისის მუნიციპალიტეტი).

დადგენილია, რომ "კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლისათვის ძეგლის

სტატუსის მოხსნის თაობაზე” საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანებით ”საყდრისი - ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მადაროს” მოეხსნა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

დადგენილია ისიც, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის №05/09/1897 წერილით შპს ”RMG GOLD”-ს ეცნობა, რომ სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანების ძალაში შესვლის მომენტიდან, ”კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-13 მუხლისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2014 წლის 8 აპრილის №01 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის ”ზ” ქვეპუნქტის შესაბამისად ეძლეოდა არქეოლოგიური ობიექტის აღების (დაშლის) თანხმობა.

საქმეში წარმოდგენილი შპს ”RMG GOLD”-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2597 განკარგულებით, თანხმობა მიეცა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს, შპს ”RMG GOLD”-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის 2020 წლის 1 იანვრამდე გაგრძელების თაობაზე შესაბამისი კოორდინატების ფარგლებში. შესაბამისად, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წლის 31 დეკემბერს გამოიცა შპს ”RMG GOLD”-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის (სერია 53 №0010 ტიპი VI A B C) ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე №478/ს ბრძანება, რომლითაც შპს ”RMG GOLD”-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიას მოქმედების ვადა გაუგრძელდა 2020 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2597 განკარგულებით გათვალისწინებული კოორდინატების ფარგლებში.

სასამართლოს სხდომაზე მოპასუხე მხარის - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა

დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა იშუამდგომლა დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე, რასაც ასევე დაეთანხმნენ მოპასუხე საქართველოს მთავრობისა და სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და მესამე პირის - შპს “RMG GOLD” -ის წარმომადგენლები. მოპასუხე მხარის ამ შუამდგომლობას არ დაეთანხმა მოსარჩელე მხარე.

სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა განმარტებების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ ა(ა)იპ ”შწვანე ალტერნატივას” სარჩელზე საქმის წარმოება დაუშვებლობის მოტივით უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. ხსენებული ნორმის მოთხოვნიდან გამომდინარე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრული სარჩელის დასაშვებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოსარჩელის უფლებისათვის ან ინტერესისათვის ზიანის მიყენება ან რაიმე უფლების უკანონოდ შეზღუდვა. მხოლოდ აღნიშნული პირობების არსებობის შემთხვევაში შეუძლია მოსარჩელეს მოითხოვოს საქმის განხილვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრულ სარჩელზე შეზღუდული ან სადავოდ ქცეული უფლების ან კანონიერი ინტერესის დაცვის მიზნით. ამდენად, სასამართლოსადმი მიმართვა უკავშირდება მხოლოდ პირის უფლების ან კანონიერი ინტერესის დაცვის რეალურ საჭიროებას. ამასთან ინტერესის არსებობა გულისხმობს მხოლოდ მხარის რეალურ, ფაქტობრივ ინტერესს და გამორიცხავს მის მორალურ ან თეორიულ არსებობას. განსახილველ შემთხვევაში ინტერესის არსებობის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ვერ დაეყრდნობა

მხოლოდ მოსარჩელის მოსაზრებასა და ვარაუდს.

სასამართლო მხარეთა ყურადღებას მიაქცევს განსახილველი სარჩელის შინაარსზე, რომელიც ცხადყოფს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სადავო აქტების ბათილად ცნობით მოსარჩელის ინტერესი მიმართულია ბოლნისის მუნიციპალიტეტში საყრდისი - ყაჩაღიანის ბორცვზე მდებარე არქეოლოგიური ობიექტის დაცვისაკენ. წარმოდგენილ სარჩელში მხარე მიუთითებს სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 06 მარტის №05/09/221 დასკვნისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 13 მარტის №01/01-1227 დასკვნის მიღებისას მოპასუხეთა მიერ ”საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ” ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპის დარღვევაზე, რომლის თანახმად, ხელმომწერი მხარეები აღიარებენ, ”რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება საკუთარი არჩევანით გამოიყენოს კულტურული მემკვიდრეობა, ამასთან პატივი სცეს სხვა ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებებს, რაც კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების ერთ - ერთი ასპექტია, რომელიც აღიარებულია გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით (1948) და გარანტირებულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტით (1966)” და დარწმუნებული არიან ”კულტურული მემკვიდრეობის განსაზღვრისა და რეგულირების ამჟამად მიმდინარე პროცესებში საზოგადოების ყველა წევრის ჩართვის აუცილებლობაში”. სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად მოსარჩელე მხარე ყურადღებას ამახვილებს სადავო აქტების გამოცემისას მოპასუხეთა მიერ ”კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” საქართველოს კანონის დარღვევაზე, კერძოდ კი ხსენებული საკანონმდებლო აქტის მე-15 მუხლის დარღვევაზე, რომლის თანახმადაც, ობიექტისათვის კულტურული ძეგლის მინიჭების საფუძველია მისი ისტორიული ან კულტურული ღირებულება, დაკავშირებული მის სიძველესთან, უნიკალურობასთან ან ავთენტიკურობასთან. იმავე მუხლზე მითითებით მხარე მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც თუნდაც ვერ ხერხდება საყდრისი - ყაჩაღიანის ობიექტის რაობის სრულყოფილი განსაზღვრა და ობიექტი დამატებით შესწავლას საჭიროებს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე საყდრისი - ყაჩაღიანის ობიექტი უნდა

შეეტანა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში ნაცვლად ამ ობიექტზე სამთო საქმიანობის განხორციელების შესახებ დადებითი დასკვნის გაცემისა. საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობასთან დაკავშირებით წერილობით გამოთქმულ მოსაზრებაში, მოსარჩელე მისი კანონიერი უფლებისა და ინტერესებისათვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების ფაქტს ასაბუთებს "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენციის მე-2 მუხლზე, რომლის თანახმად, "გარემოსდაცვითი ინფორმაცია" გულისხმობს წერილობითი, აუდიოვიზუალური, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მოწოდებულ ყველა ინფორმაციას ისეთ საკითხებზე მათ შორის როგორცაა: **კულტურული ობიექტების და შენობა - ნაგებობების მდგომარეობა**, იმდენად, რამდენადაც მათზე ზეგავლენას ახდენს ან შესაძლოა მოახდინოს გარემოს შემადგენელ ელემენტების მდგომარეობა ან ამ ელემენტების მეშვეობით "ზ" ქვეპარაგრაფში მითითებული ფაქტორები, ქმედებები ან ღონისძიებები.

ამდენად, სასამართლო დადგენილად და დადასტურებულად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ წარმოდგენილი სარჩელით მხარის იურიდიული ინტერესი მიქცეულია საყდრისი - ყაჩაღიანის ობიექტის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვისაკენ. აღნიშნულ მოსაზრებას ასევე განამტკიცებს თავად მოსარჩელის მითითება "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-40 მუხლზე, რომლითაც დადგენილია წიაღის მეცნიერული, ისტორიული ან სხვა კულტურული მნიშვნელობის მქონე უბნების დაცვა და რომლითაც კანონმდებელი განსაკუთრებულ დაცვის რეჟიმში აქცევს იშვიათი (უნიკალური) გეოლოგიური, პალეონტოლოგიური, არქეოლოგიური ობიექტებს, აგრეთვე წიაღის ისეთ უბნებს, რომელთაც აქვთ მეცნიერული, ისტორიული, ესთეტიკური ან სხვა კულტურული მნიშვნელობა.

სასამართლო კვლავ მიუთითებს, რომ სადავო სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 06 მარტის №05/09/221 და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის №01/01-1227



აქტებით შპს "RMG GOLD"-ს მიეცა დადებითი დასკვნა საყდრისი - ყაჩაღიანის ობიექტის ტერიტორიაზე სამთო სამუშაოების განხორციელების მიზნით. საქმეში წარმოდგენილი მასალებით კი დასტურდება, რომ შპს "RMG GOLD"-მა საყდრისი - ყაჩაღიანის ობიექტზე სამთო - მოპოვებითი სამუშაოები განაახლა არა სადავო აქტების, არამედ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის №05/09/1857 აქტის საფუძველზე, რომლითაც კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლისათვის ძეგლის სტატუსის მოხსნის თაობაზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანების ძალაში შესვლის მომენტიდან, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლისა და სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2014 წლის 8 აპრილის №01 ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესაბამისად შპს "RMG GOLD"-ს მიეცა საყდრისი - ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის აღების (დაშლის) თანხმობა. ამასთან, მესამე პირის წარმომადგენლის განმარტებით ამ ეტაპზე საყდრისის საბადოს "ყაჩაღიანის" უბანზე შპს "RMG GOLD"-ის მიერ სამთო სამუშაოები გრძელდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2597 განკარგულებისა და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის №478/ს ბრძანების საფუძველზე 2020 წლის 1 იანვრამდე გაგრძელებული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის (სერია 53, №0010) საფუძველზე.

სასამართლო მხარეთა ყურადღებას მიაქცევს ზემოხსენებული აქტების შინაარზე, ასევე პროცესის მონაწილეთა მიერ სასამართლოსათვის მიცემულ განმარტებებზე და დადასტურებულად მიიჩნევს ფაქტობრივ გარემოებას მასზედ, რომ გასაჩივრებული აქტებით მართალია შპს "RMG GOLD"-ს დადებითი დასკვნა მიეცა საყდრისი - ყაჩაღიანის ტერიტორიაზე სამთო სამუშაოების განხორციელებისათვის, თუმცა კონკრეტულ ობიექტზე კომპანიას ამ აქტების საფუძველზე რაიმე სახის მოქმედება არ განუხორციელებია. ამასთან, მოპასუხე მხარისა და მესამე პირის განმარტებით, სადავო აქტებით კომპანიას არც მომავალში წარმოეშობა აღნიშნულ ობიექტზე რაიმე სახის სამუშაოების ჩატარების უფლება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები. სასამართლო მიუთითებს, რომ მმართველობითი ღონისძიების ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტად მიჩნევსათვის აუცილებელია, რომ იგი ფორმალურ - სამართლებრივი თვალსაზრისით შეიცავდეს ზემოთ ჩამოთვლილი ცნების ყველა ელემენტს. სასამართლო საქმის მასალების ანალიზით მიიჩნევს, რომ სადავო აქტების მოქმედება მკაცრად განსაზღვრული სამართლებრივი შედეგისაკენ არ არის მიმართული, აღნიშნული აქტები არ შეიცავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ცნების აუცილებელ ელემენტებს (აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას), რამეთუ მათი მოქმედება არ იწვევს პირდაპირ სამართლებრივ შედეგს, ისინი დაინტერესებულ მხარეს ( შპს "RMG GOLD"-ს) არ ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს და ამდენად, აღნიშნული აქტები დღეისათვის არ შეიცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს. ამ კატეგორიის სარჩელზე დასაშვებობის აუცილებელ წინაპირობას კი ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის არსებობა წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო თვლის, რომ შეუძლებელია სადავო აქტები არა თუ პირდაპირ და უშუალო, არამედ ზოგადად ზიანის მიყენების ან კანონიერი უფლების ან ინტერესისათვის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას იძლეოდეს.

სასამართლო კვლავ მიუთითებს, რომ მოცემული სარჩელის დასაშვებობის საკითხის განხილვა - გადაწყვეტისას არსებითი მნიშვნელობა აქვს არა იმ გარემოებას დღეისათვის არქეოლოგიური ობიექტი არის თუ არა აღებული (დამლილი), არამედ იმას, რომ სადავო აქტების საფუძველზე შპს "RMG GOLD"-ს სამთო სამუშაოების განხორციელების მიზნით დადებითი დასკვნის მიუხედავად ამ ობიექტზე რაიმე სახის სამუშაო არ განუხორციელებია და ამ აქტების საფუძველზე ვერც მომავალში განახორციელებს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ სასამართლო განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ იგი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლო აღნიშნული საფუძველით წყვეტს საქმის წარმოებას პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

ამდენად, საქმის მასალების ანალიზით სასამართლო თვლის, რომ ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" სარჩელზე სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 06 მარტის №05/09/221 დასკვნის, შპს "RMG GOLD"-თვის სამთო საქმიანობის განხორციელების მიზნით დადებითი დასკვნის გადაცემის შესახებ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 13 მარტის №01/01-1227 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და შესაბამისად, ამ აქტების კანონიერების თაობაზე საქართველოს მთავრობაში მოსარჩელის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 6 მაისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე საქმის წარმოება სრულად უნდა შეწყდეს დაუშვებლობის მოტივით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის შეწყვეტის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განახევრდება. შესაბამისად, მოსარჩელეს უნდა დაუბრუნდეს ამ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი.

სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2, მე-9, 26<sup>2</sup>-ე, 32-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2, 273-ე, 274-ე, 284-285, 414-416-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" სარჩელზე შეწყდეს საქმის წარმოება დაუშვებლობის მოტივით;
2. დაუბრუნდეს მოსარჩელეს ამ სარჩელზე 2014 წლის 12 მაისს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარიდან (სს "თიბისი ბანკი" საგადახადო დავალება №216, რეფერენსი 1042298783, გადამხდელი ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა") 50 ლარი;
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით განჩინების ჩაბარებიდან 12 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში (მდებარე თბილისი, გრ. რობაქიძის 7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (მდებარე აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6).

**მოსამართლე:**

**ნინო შარაძე**